

შპს „კანო“  
(ს.კ 216393980)

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის  
ფინანსური ანგარიშგება

შპს „კანო“

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

|                                                                            |    |
|----------------------------------------------------------------------------|----|
| • ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება: .....                                | 4  |
| • მოგება-ზარალის ანგარიშგება: .....                                        | 5  |
| • საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება: .....                        | 6  |
| 1. ზოგადი ინფორმაცია .....                                                 | 7  |
| 2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა .....            | 7  |
| 2.1 წარდგენის საფუძველი .....                                              | 7  |
| 2.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება ..... | 8  |
| 2.3 შეფასების და წარდგენის ვალუტა .....                                    | 8  |
| 2.4 ძირითადი საშუალებები .....                                             | 9  |
| 2.5 არამატერიალური აქტივები .....                                          | 10 |
| 2.6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები .....                                       | 11 |
| 2.7 სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები .....                        | 11 |
| 2.8 გადასახადები .....                                                     | 11 |
| 2.9 ფული და ფულის ეკვივალენტები .....                                      | 12 |
| 2.10 მარაგები .....                                                        | 12 |
| 2.11 შემოსავალი .....                                                      | 13 |
| 2.12 ხარჯები: .....                                                        | 13 |
| 2.13 აქტივების გაუფასურება .....                                           | 13 |
| 3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადანაწევებულებები .....              | 14 |

|                                                    |    |
|----------------------------------------------------|----|
| 4. ფული და ფულის ეკვივალენტები:.....               | 15 |
| 5. საფაჭრო მოთხოვნები.....                         | 15 |
| 6. მარაგები.....                                   | 15 |
| 7. საფაჭრო ვალდებულებები .....                     | 16 |
| 8. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები .....        | 16 |
| 9. შემოსავალი რეალიზაციიდან.....                   | 16 |
| 10. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი ..... | 17 |
| 11. წმინდა შემოსულობა სავალუტო ოპერაციებიდან.....  | 17 |
| 12. წმინდა დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან .....  | 18 |
| 13. კაპიტალი .....                                 | 18 |
| 14. ბალანსის შემდგომი მოვლენები.....               | 18 |

• ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:

|                                                                                             | შენიშვნა | 31.12.2018       | 31.12.2017       |
|---------------------------------------------------------------------------------------------|----------|------------------|------------------|
| <b>აქტივები</b>                                                                             |          |                  |                  |
| ფული და ფულის ექვივალენტები                                                                 | 4        | 425,768          | 51,717           |
| სავაჭრო მოთხოვნები                                                                          | 5        | 275,822          | 626,476          |
| გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი                                         |          | 43,632           | 30,660           |
| მზა პროდუქცია                                                                               | 6        | 46,275           | 75,793           |
| სხვა მარაგები                                                                               | 6        | 1,206,238        | 1,066,236        |
| სხვა მიმდინარე აქტივები                                                                     |          | 244              | 12,090           |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                                                |          | 1,398            | -                |
| ძირითადი საშუალებები                                                                        |          | 1,104,528        | 923,966          |
| <b>სულ აქტივები</b>                                                                         |          | <b>3,103,905</b> | <b>2,786,938</b> |
|                                                                                             |          |                  |                  |
| <b>ვალდებულებები</b>                                                                        |          |                  |                  |
| სავაჭრო ვალდებულებები                                                                       | 7        | 784,659          | 997,063          |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                                                          |          | 1,000            | -                |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                                  |          | 81,451           | -                |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულებები                                                             |          | 10               | 43,973           |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები                                                          | 8        | 184,733          | 50,870           |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                                                                    |          | <b>1,051,853</b> | <b>1,091,906</b> |
|                                                                                             |          |                  |                  |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                                                    |          |                  |                  |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') |          | 230,008          | 230,008          |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი                                                               |          | 1,822,044        | 1,465,024        |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                                                                | 13       | <b>2,052,052</b> | <b>1,695,032</b> |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>                                               |          | <b>3,103,905</b> | <b>2,786,938</b> |

დირექტორი:

• ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:

|                                                                                             | შენიშვნა | 31.12.2018       | 31.12.2017       |
|---------------------------------------------------------------------------------------------|----------|------------------|------------------|
| <b>აქტივები</b>                                                                             |          |                  |                  |
| ფული და ფულის ექვივალენტები                                                                 | 4        | 425,768          | 51,717           |
| სავაჭრო მოთხოვნები                                                                          | 5        | 275,822          | 626,476          |
| გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი                                         |          | 43,632           | 30,660           |
| მზა პროდუქცია                                                                               | 6        | 46,275           | 75,793           |
| სხვა მარაგები                                                                               | 6        | 1,206,238        | 1,066,236        |
| სხვა მიმდინარე აქტივები                                                                     |          | 244              | 12,090           |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                                                |          | 1,398            | -                |
| ძირითადი საშუალებები                                                                        |          | 1,104,528        | 923,966          |
| <b>სულ აქტივები</b>                                                                         |          | <b>3,103,905</b> | <b>2,786,938</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                                                                        |          |                  |                  |
| სავაჭრო ვალდებულებები                                                                       | 7        | 784,659          | 997,063          |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                                                          |          | 1,000            | -                |
| სავადასახადო ვალდებულებები                                                                  |          | 81,451           | -                |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულებები                                                             |          | 10               | 43,973           |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები                                                          | 8        | 184,733          | 50,870           |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                                                                    |          | <b>1,051,853</b> | <b>1,091,906</b> |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                                                    |          |                  |                  |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') |          | 230,008          | 230,008          |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი                                                               |          | 1,822,044        | 1,465,024        |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                                                                | 13       | <b>2,052,052</b> | <b>1,695,032</b> |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>                                               |          | <b>3,103,905</b> | <b>2,786,938</b> |

დირექტორი:

*თ. ჯანაშია*



• მოგება-ზარალის ანგარიშგება:

|                                                                               | შენიშვნა | 2018               |
|-------------------------------------------------------------------------------|----------|--------------------|
| <b>ნეტო ამონაგები</b>                                                         | <b>9</b> | <b>5,758,404</b>   |
| ამონაგები მომსახურების გაწევიდან და საქონლის რეალიზაციიდან                    |          | 5,758,404          |
| <b>რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება</b>                                  |          | <b>(2,377,926)</b> |
| საწყისი მარაგები                                                              | 6        | (1,142,029)        |
| მარაგების შესყიდვა                                                            | 6        | (2,488,410)        |
| საბოლოო მარაგები                                                              | 6        | 1,252,513          |
| <b>საერთო მოგება</b>                                                          |          | <b>3,380,478</b>   |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                                      |          | (1,988,322)        |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                          |          | (201,792)          |
| საპროცენტო შემოსავალი                                                         |          | 2,162              |
| საპროცენტო ხარჯი                                                              |          | (14,613)           |
| იჯარის ხარჯი                                                                  |          | (23,750)           |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                      | 10       | (334,706)          |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>                                                 |          | <b>(2,561,021)</b> |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                                      |          | <b>819,457</b>     |
| გაუფასურების ხარჯი/მარაგები                                                   |          | (87,044)           |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:                       | 11 (12)  | (5,164)            |
| სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)                                 |          | (5,276)            |
| <b>მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან</b> |          | <b>721,973</b>     |
| მოგების გადასახადი                                                            |          | (54,790)           |
| <b>მოგება/(ზარალი)</b>                                                        |          | <b>667,183</b>     |

დირექტორი:



• მოგება-ზარალის ანგარიშგება:

|                                                                        | შენიშვნა | 2018        |
|------------------------------------------------------------------------|----------|-------------|
| ნეტო ამონაგები                                                         | 9        | 5,758,404   |
| ამონაგები მომსახურების გაწევიდან და საქონლის რეალიზაციიდან             |          | 5,758,404   |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება                                  |          | (2,377,926) |
| საწყისი მარაგები                                                       | 6        | (1,142,029) |
| მარაგების შესყიდვა                                                     | 6        | (2,488,410) |
| საბოლოო მარაგები                                                       | 6        | 1,252,513   |
| საერთო მოგება                                                          |          | 3,380,478   |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                               |          | (1,988,322) |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                   |          | (201,792)   |
| საპროცენტო შემოსავალი                                                  |          | 2,162       |
| საპროცენტო ხარჯი                                                       |          | (14,613)    |
| იჯარის ხარჯი                                                           |          | (23,750)    |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                               | 10       | (334,706)   |
| სულ საოპერაციო ხარჯები                                                 |          | (2,561,021) |
| საოპერაციო მოგება                                                      |          | 819,457     |
| გაუფასურების ხარჯი/მარაგები                                            |          | (87,044)    |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:                | 11 (12)  | (5,164)     |
| სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)                          |          | (5,276)     |
| მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განვრცობითი ოპერაციებიდან |          | 721,973     |
| მოგების გადასახადი                                                     |          | (54,790)    |
| მოგება/(ზარალი)                                                        |          | 667,183     |

დირექტორი:

*Handwritten signature*



• საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება:

|                                                 | შენიშვნა | 2018      |
|-------------------------------------------------|----------|-----------|
| კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი) |          | 1,695,032 |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)  |          | (310,163) |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში           |          | 667,183   |
| კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს           |          | 2,050,052 |

დირექტორი:



• საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება:

|                                                 | შენიშვნა | 2018      |
|-------------------------------------------------|----------|-----------|
| კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი) |          | 1,695,032 |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)  |          | (310,163) |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში           |          | 667,183   |
| კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს           |          | 2,050,052 |

დირექტორი:



## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „კანო“ (ს.კ 216393980 ), (შემდგომში „კომპანია“ ) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა ლითონის სამშენებლო კონსტრუქციების და ნაწილების წარმოება. ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდია 25110.

შპს „კანო“ დაფუძნდა 2002 წლის 30 იანვარს. კომპანიის დამფუძნებლები არიან:

ნოდარი ალადაშვილი (35001027111)-----60%

ილია ალადაშვილი (35001038370)-----40%.

კომპანიის დირექტორი გახლავთ ნოდარი ალადაშვილი (35001027111).

მარეგისტრირებელი ორგანო: რუსთავის სასამართლო.

კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია : საქართველო, ქ. რუსთავი, ჯავახიშვილის ქ. N5

## 2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

### 2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჯოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

## 2.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ კომპანიის პირობებში არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციებისა და მოვლენების შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

## 2.3 შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლის კურსის შესაბამისად.

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან“.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების გადაფასებისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

|                            | აშშ დოლარი | ევრო   |
|----------------------------|------------|--------|
| 2018 წლის 31 დეკემბრისთვის | 2,6766     | 3,0701 |
| 2017 წლის 31 დეკემბრისთვის | 2,5922     | 3,1044 |

## 2.4 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალებები საწყისი აღიარების შემდეგ აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი განვლის პერიოდში, მოგება-ზარალში ასახვით.

კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

| ჯგუფი                    | სასარგებლო მომსახურების ვადები |
|--------------------------|--------------------------------|
| შენობა ნაგებობები        | 20 წელი                        |
| საოფისე აღჭურვილობა      | 4-9 წელი                       |
| ავტო და სხვა ინვენტარი   | 2-8 წელი                       |
| სატრანსპორტო საშუალებები | 6-14 წელი                      |

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

## 2.5 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით,

სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 7-9 წლით.

კომპანიის არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს საბუღალტრო პროგრამა „ორისი“.



## 2.6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია საკუთარი პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციას ახდენს საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში ეროვნული ვალუტით ან უცხოური ვალუტით ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად.

## 2.7 სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

## 2.8 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის 2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება არ იბეგრება. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15 %-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით. ცვლილების შედეგად აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის მოგება- ზარალის ანგარიშგებაში შესაბამისი გადანაცვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

## 2.9 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან.

## 2.10 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილის მეთოდით - ემყარება პერიოდის განმავლობაში შეძენილი ან წარმოებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საშუალო შეწონილ თვითღირებულებას. საწარმო მარაგის ჩამოწერას ახორციელებს საშუალო შეწონილის მეთოდით.

### 2.11 შემოსავალი

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი საავტორო ფასდათმობა.

#### საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

#### მომსახურების განწევა

საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

### 2.12 ხარჯები:

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

### 2.13 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმო განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და აღარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო

ღირებულებაზე, საწარმო ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საწარმო ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, საწარმო აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

### 3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადანყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადანყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადანყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის

ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

#### 4. ფული და ფულის ეკვივალენტები:

|                             | 31.12.2018 | 31.12.2017 |
|-----------------------------|------------|------------|
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 425,768    | 51,717     |

#### 5. სავაჭრო მოთხოვნები

კომპანია საკუთარი პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციას ახდენს საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში ეროვნული ვალუტით ან უცხოური ვალუტით ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად.

|                    | 31.12.2018 | 31.12.2017 |
|--------------------|------------|------------|
| სავაჭრო მოთხოვნები | 275,822    | 626,476    |

#### 6. მარაგები

კომპანიის მარაგების ნაშთი შედგება ნედლეული და მარაგების, დამხმარე მარაგების და მზა პროდუქციისგან. კომპანიაში ხდება შეძენილი სასაქონლო-მატერიალური მარაგებისგან მზა პროდუქციის შექმნა და რეალიზაცია.

|               | 31.12.2018 | 31.12.2017 |
|---------------|------------|------------|
| მზა პროდუქცია | 46,275     | 75,793     |
| სხვა მარაგები | 1,206,238  | 1,066,236  |



## 7. სავაჭრო ვალდებულებები

კომპანიას სავაჭრო ვალდებულებები გააჩნია როგორც ადგილობრივი მომწოდებლების, ასევე უცხოური მომწოდებლების მიმართაც. სავაჭრო ვალდებულებების მოცულობებია:

|                       | 31.12.2018 | 31.12.2017 |
|-----------------------|------------|------------|
| სავაჭრო ვალდებულებები | 784,659    | 997,063    |

## 8. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

კომპანიას გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები გააჩნია საქართველოს ბანკის მიმართ:

|                                    | 31.12.2018 | 31.12.2017 |
|------------------------------------|------------|------------|
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები | 184,733    | 50,870     |

## 9. შემოსავალი რეალიზაციიდან

|                                                              | 2018 წელი |
|--------------------------------------------------------------|-----------|
| შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან და მომსახურების განწევად | 5,758,404 |

### 10. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

| 2018 წელი                            |           |
|--------------------------------------|-----------|
| რემონტის დანახარჯები                 | 240.11    |
| სხვა საოპერაციო ხარჯები              | 7394.29   |
| რეკლამის ხარჯები                     | 111       |
| ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები | 124.81    |
| საოფისე ინვენტარი                    | 50.32     |
| სამეურნეო ხარჯი                      | 17125.03  |
| კომუნიკაციის ხარჯები                 | 3757.71   |
| ჯანმრთელობის დაზღვევა- ხელფასი       | 28214.08  |
| ავტომანქანის დაზღვევა                | 7298.79   |
| ქონების დაზღვევა                     | 543.38    |
| პასუხისმგებლობის დაზღვევა            | 1192.22   |
| კომპიუტერის ხარჯები                  | 3218.47   |
| საკონსულტაციო ხარჯები                | 22764.96  |
| სსიპ მიერ გაწეული მომსახურება        | 250.84    |
| მივლინების ხარჯი                     | 26713.53  |
| სხვა საერთო ხარჯი                    | 212589.24 |
| წარმომადგენლობითი ხარჯი              | 967.08    |
| დასუფთავების მოსაკრებელის ხარჯი      | 1260      |
| საექსპერტო მომსახურება               | 847.46    |
| რეკლამის ხარჯი                       | 42.37     |

### 11. წმინდა შემოსულობა სავალუტო ოპერაციებიდან

| 2018 წელი            |          |
|----------------------|----------|
| არასაოპერაციო მოგება | 26380.93 |

## 12 .წმინდა დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან

| 2018 წელი            |          |
|----------------------|----------|
| არასაოპერაციო ზარალი | 31544.94 |

## 13. კაპიტალი

კომპანიას კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალის და გაუნაწილებელი მოგებისგან. კომპანიას აქვს საქმიანობის შედაგად მიღებული გაუნაწილებელი მოგება, რომელიც ასახულია მის ბალანსში და რომლის შესაბამისადაც გაიცემა დივიდენდები.

| საკუთარი კაპიტალი                                                                           | 31.12.2018       | 31.12.2017       |
|---------------------------------------------------------------------------------------------|------------------|------------------|
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 230,008          | 230,008          |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი                                                               | 1,822,044        | 1,465,024        |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                                                                | <b>2,052,052</b> | <b>1,695,032</b> |

## 14. ბალანსის შემდგომი მოვლენები

2018 წლის საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ბალანსის შემდგომ ისეთ მოვლენებს, რომელთა განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნება აუცილებელია.